

## **ელექტრონური ფინანსური დანაკარგვის პროცესის კომპიუტერული სისტემის აგება ORM/ERM ბაზაზე**

გია სურგულაძე, ნინო თოფურია, გიორგი ბახია  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### **რეზიუმე**


განხილულია ენერგეტიკის დაწყების მომუშავე პერსონალისათვის მონაცემთა ბაზების ავტომატიზებულად დაპროექტების პროცესი, რომელიც განკუთვნილია ამ სფეროში არსებულ ე.წ. „ტექნიკური დანაკარგების“ შესამცირებლად. კონცეპტუალური მოდელის დაპროექტება განხორციელებულია ORM დიაგრამისა და მისი შესაბამისი ER მოდელის საშუალებით. მომხმარებლთა ინტერფეისების პროცესის უზრუნველყოფა შესრულებულია პრგრამული პაკეტის ASP.NET გამოყენებით.

**საკვანძო სიტყვები:** კონცეპტუალური მოდელი, ობიექტ-როლური მოდელირება, მონაცემთა ბაზა, ავტომატიზებული დაპროექტება, კლიენტ-სერვერული არქიტექტურა, ინტერნეტული დაპროგრამება.

### **1. შესავალი**

ენერგეტიკის სექტორის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი – გადაცემა–განაწილება, ის უმნიშვნელოვანესი რგოლია, რომელიც აკავშირებს გენერაციის ობიექტებს მომხმარებლებთან [1].

ელექტროენერგია, სანამ მიაღწევს მომხმარებლამდე საკმაოდ გრძელ გზას გაივლის. თელასი, რომელიც წარმოადგენს სადისტრიბუციო კომპანიას, ღებულობს საჭირო ელექტროენერგიას სხვადასხვა ელექტროსადგურებიდან, ხოლო შემდგომ ახდენს მის განაწილებას. ელექტროენერგია გადის ქვესადგურში, ფილტრში, სატრანსფორმატორო ჯისურში და ბოლოს სადარბაზოში. ამ პროცესის ტოპოლოგიური სქემის ფრაგმენტი მოცემულია 1-ელ ნახაზზე.



შემოსული ელექტროენერგია ტრანსფორმაციის სხვადასხვა დონეზე განიცდის შესაბამის ტექნიკურ დანაკარგებს. მაგალითად, მომწოდებლიდან შემოსული მილიონი კილოვატი, 35 კილოვოლტიან ქვესადგურში განიცდის ტრანსფორმაციას და 6 კილოვოლტიანი ფილტრიდან გადადინება სატრანსფორმატორო ჯისურებისენ, სადაც კვლავ განიცდის დადაბლებას და 6 კვტ გადადის 0,4 კვტ-ში (380 ვოლტი), სადაც ერთი ფაზა წარმოადგენს 220 ვოლტს, რომელიც მომხმარებლისათვისაა განკუთვნილი.

თითოეულ ეტაპზე ხდება ელექტროენერგიის კარგვა, რომელიც გამოითვლება დროის შესაბამის მონაკვეთში აღრიცხულილი ბალანსიდან და საუკეთესო შემთხვევაში შეადგენს გადაცემული ელექტროენერგიის 7-10%. „ტექნიკურ დანაკარგების“ იწვევს მრავალი ფაქტორი, კაბელის კვეთი, მასალა, ტრანსფორმატორის ცდომილება, დატვირთვა და ა.შ.


იმ შემთხვევაში, თუ თითოეულ ეტაპზე დავაფიქსირებთ გადაცემულ ელექტროენერგიას მრიცხველით და მოხდება ამ ინფორმაციის გადაცემა ინტერნეტ/ინტრანეტის საშუალებით, მაშინ

ადმინისტრატორს თვალწინ ექნება თითოეულ ენერგობიუქტზე აღრიცხული ელექტროენერგია და არსებული „ტექნიკური დანაკარგები“ დროის შესაბამისი მონაკვეთისათვის. ამავე დროს მას ექნება სხადასხვა ანალიზის საშუალება, (გამოჩნდება თუ რა ტექნიკური მახასიათებლების ელექტრული ქსელი გამოიყენოს, სააღრიცხვო საშუალებების დაზიანების შემთხვევა და ა.შ.)

## 2. ძირითადი ნაწილი

ნაშრომში განხილულია ენერგეტიკის სფეროში მომუშავე პერსონალისათვის ავტომატიზებული სისტემის დაპროექტებისა და მონაცემთა ბაზების აგების ამოცანათა გადაწყვეტა.

საპრობლემო სფეროს კონცეპტუალური მოდელის დაპროექტებისათვის გამოყენებულია ობიექტ-როლური მოდელირება, რომელიც კონცეპტუალური მოდელირების განვითარებულ ტექნიკას წარმოადგენს [2,3]. ობიექტ-როლური მოდელირება იყენებს საპრობლემო სფეროს კანონზომიერების აღწერის ბუნებრივ სალაპარაკო ენასთან მიახლოებულ მეთოდს. ესაა მოდელირება ფაქტების საფუძველზე, სადაც ავტომატიზებულ რეკიმში ხდება მონაცემთა ბაზების სტრუქტურების დაპროექტება. ამ პროცესს წარმართავს ენერგობიუქტის სპეციალისტი, რომელსაც აქვს გავლილი ტრენინგი კომპიუტერულ სისტემაში. მე-2 ნახაზზე წარმოდგენილია ORM დაგრამა. „\*\*\*“ აღნიშნულია გამოსათვლელი ფაქტის ტიპი.




ნახ.2

მე-3 ნახაზზე მოცემულია ORM დაგრამის შესაბამისი არსოთა-დამოკიდებულების ER მოდელი. მის საფუძველზე ხორციელდება საბოლოო კონცეპტუალური სქემის დაზუსტება და კორექტორება. შემდეგ MsVisio კომპიტერული ინსტრუმენტის საშუალებით, ასევე ავტომატურად ფორმირდება DDL ფაილი (Data Definition Language). მისი საწყისი ტექსტი, გარკვეული კორექტირების შემდეგ მომზადდება Ms SQL Server პროგრამული პაკეტის მონაცემთა ბაზაში მოსათავსებლად.

კლიენტ-მომხმარებლისათვის განკუთვნილი ინტერფეისების საშუალებით ქვესადგურების, სატრანსფორმატოროებისა და ჯიხურების უფროსებს, პაროლის (UserName, Password) მითითების

შემდეგ შეუძლიათ შეიტანონ კომპიუტერულ სისტემაში (მობილური ტელეფონებით ინტერნეტში ან პროსონალური კომიუნიკაციიდან ლოკალურ ქსელში) შესაბამისი ჩვენებები.



ნახ.3

კლიენტ-მომზარებლიდან შეტანილი ინფორმაცია ASP.NET მოდულების საშუალებით ჩაიწერება Ms SQL Server მონაცემთა ბაზაში, ხოლო ადმინისტრატორი მისთვის განკუთვნილი ინტერფეისის საშუალებით აკონტროლებს მათ.

მე-4 ნახაზზე წარმოდგენილია ასეთი ინტერფეისების ფრაგმენტები ქვესადგურისა და სადარბაზოსათვის.

აბონენტ-№	აბონენტის	რეალი ჩვენება	სხვაობა
1234	3000	1800	1200
5678	1770	1200	570
9870	5600	1245	4355
1256	2345	1235	1110
*	0	0	0

ნახ.4. ინტერფეისები ქვესადგურის (ა) და სადარბაზოსთვის (ბ)

### **3. დასკვნა**

ელექტროენერგიის გადაცემის სისტემაში არსებული „ტექნიკური დანაკარგების“ შემცირების მიზნით ავტომატისებული სისტემა უზრუნველყოფს დისტანციაზე მრიცხველთა ჩვენებების კონტროლს და ადმინისტრატორის მონაცემთა ბაზაში მათ თავმოყრას. მონაცემთა ბაზების დაპროექტება და აგება შესაძლებელია ავტომატიზებულ რეჟიმში, თვით ენერგოსპეციალისტების მიერ ORM/ER მოდელების საფუძველზე.

### **4. ლიტერატურა**

1. ყიფშიძე მ., ჯამარაშვილი ვ., არაბიძე გ. საქართველოს სათბობ-ენერგეიკული კომპლექსის პრობლემები და განვითარების პერსონელივები. სტუ, თბ., 2004.
2. სურგულაძე გ., ვედეკინდი ჰ., თოფურია ნ. განაწილებული ოფის-ობიექტების საქმისწარმოების ავტომატიზაცია. მონოგრაფია. სტუ. თბილისი. 2006.
3. Halpin, T.A., Information Modeling and relational Databases, Morgan Kaufmann Publishers, San Francisco, 2001. [www.mkp.com/books\\_catalog/catalog.asp?ISBN=1-55860-672-6](http://www.mkp.com/books_catalog/catalog.asp?ISBN=1-55860-672-6).
4. Ovchinnikov V., Vakhromeev Y. A Declarative Concept-Based Query Language as a mean for Relational Database Querying Journal of Conceptual Modeling – [www.inconcept.com/jcm](http://www.inconcept.com/jcm), 2005.

## **ПОСТРОЕНИЕ КОМПЬЮТЕРНОЙ СИСТЕМЫ КОНТРОЛЯ «ТЕХНИЧЕСКИХ ПОТЕРЬ» ЭЛЕКТРОЭНЕРГИИ НА БАЗЕ ORM/ERM**

Сургуладзе Г.Г., Топурия Н.Ш., Бахия Г.Г.  
Грузинский Технический Университет

### **Резюме**

Приводится описание автоматизированного проектирования баз данных для персонала работающего в области энергетики, целью которого является уменьшение “технических потерь” в этой сфере. Проектирование концептуальной модели производится с помощью ORM-диаграммы и соответствующей ER-модели. Программное обеспечение пользовательских интерфейсов выполнена с помощью ASP.NET.

## **CONSTRUCTION OF THE COMPUTER MONITORING SYSTEM OF "TECHNICAL LOSSES" ELECTRIC POWER ON THE BASIS OF ORM/ERM**

Surguladze Gia, Topuria Nino, Bakhia George  
Georgian Technical University

### **Summary**

In this article resulted the description of automated designing of databases for the personnel working in area of power for reduction of " technical losses " in this sphere. The designing of the conceptual model is performed on the basis of ORM diagram and corresponding ER model. The software of the user interfaces executed by ASP.NET